ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2018 წლის 31 მაისი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 26 ივლისის №1251-რს საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 20 დეკემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29.12.2010 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მაისის №363 ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნებისა და ხობის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დაცვის უზრუნველყოფა დაეკისროს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**